№ 80 | 1877—1896 | № 80

შაბათი, 13 აპრილი 1896

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. რი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, № 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №2 27

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ იქმნება გამართული 28 აპრილს.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" (სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის შენობაში და **კნ. ოლღა თადეოზის ასულს**

ჭავჭავაძისას.

(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი, № 21).

## ტფილისი, 13 აპრილი.

—

სასტიკი ბრძოლა ბურჟუას სამინისტროსა და სენატის შუა, როგორც სჩანს გუშინდელ დეპეშებიდამ, დასრულებულად უნდა ჩაითვალოს: ბურჟუას სამინისტრო დამარცხდა და სამსახურიდამ უნდა გადადგეს. ჩვენი მკითხველები უთუოდ ადევნებდნენ თვალ-ყურს ამ მეტად საყურადღებო ბრძოლას. სენატმა თავიდამვე ეჭვის თვალით შეხედა რადიკალთა სამინისტროს და როგორც-კი შეუდგა ეს უკანასკნელი თავისს პროგრამის განხორციელებას, მაშინვე ბრძოლა გამოუცხადა. ბურჟუამ პარლამენტში ფეხი მოიმაგრა და ოპპორტუნისტებმა იქ ვერაფერი დააკლეს. სამაგიეროდ სენატში, სადაც დიდი უმრავლესობა რეაქციონერთ ეკუთვნის, ბურჟუას სამინისტროს რამდენჯერმე უკმაყოფილება გამოუცხადეს. ბურჟუა ყურადღებას არ აქცევდა სენატის აზრს, რადგანაც პარლამენტში ზურგი გამაგრებული ჰქონდა, მაგრამ ბოლოს დროს სენატმა ისეთი გარდაწყვეტილება მოახდინა, რომ სამინისტროს სრულიად შეუკრა ხელ-ფეხი. აი საქმე როგორ იყო: ახლად დაპყრობილ მადაგასკარის კუნძულზე სამოქალაქო მმართველობისა და სამხედრო ორგანიზაციის მოწყობისათვის სამინისტროს დასჭირდა ფული. კრედიტი, რომელიც გადადებული იყო ამ საგნისათვის, 1 მაისამდის იყო საკმაო და ახალის თანხის გადადებისათვის სამინისტრომ კანონისამებრ ნება პარლამენტსა და სენატს მოსთხოვა. ამ შემთხვევით ისარგებლა სენატმა თავისის მტრის დასამხობად და კაბინეტის პროექტი კრედიტის შესახებ უარ-ჰყო. ამ გარდაწყვეტილების ძალით სამინისტროს ნება არა აქვს ფული დახარჯოს უსაჭიროეს საგნისათვის და ამიტომ იძულებულია სამსახურს თავი დაანებოს. სამინისტრომ უკვე გამოუცხადა პრეზიდენტს—სამსახურს თავს ვანებებო, მაგრამ რიგით უნდა დაუცადოს პარლამენტს. ამ უკანასკნელს მალე მოიწვევენ და მაშინ ვნახავთ, როგორ დასრულდება კრიზისი. შესაძლებელია, პარლამენტი ისევ ნდობას გამოუცხადებს სამინისტროს, მაგრამ, როგორც გუშინდელი დეპეშა ამბობს, ბურჟუას კაბინეტი მაინც თავს დაანებებს სამსახურს, რადგანაც სენატი არც ერთს მის პროექტს არ შეიწყნარებს და სამინისტროს მოღვაწეობა შეუძლებელი იქნება...

ყველასათვის ცხადია, რომ სენატისა და რადიკალთა კაბინეტის ბრძოლა უბრალო შეტაკება-კი არ არის, არამედ დიდ-მნიშვნელოვანი მოვლენაა საფრანგეთის ცხოვრებაში. საფრანგეთის ბედ-იღბალი კარგა ხანია ოპპორტუნისტთა ხელშია. მათს მოღვაწეობას თავდაპირველად პროგრესიული ხასიათი ჰქონდა. ისინი მძლავრად იცავდნენ ახალს რესპუბლიკას მონარხისტთა იერიშიდამ და ინტრიგებიდამ, დემოკრატიის შემწეობით დაუმკვიდრეს ქვეყანას რესპუბლიკური წეს-წყობილება და მოახდინეს რამდენიმე საჭირო და სასარგებლო რეფორმა. ამის შემდეგ-კი შეაჩერეს ყოველი სასურველი კანონმდებლობა და შეიქმნენ თავგამოდებულ მოსარჩლეებათ მძლავრის ბურჟუაზიისა. თუმცა საფრანგეთს ესაჭიროებოდა ბევრი პოლიტიკური რეფორმა, თუმცა დრო თხოულობდა სამართლიანს კანონებს მუშათა შესახებ კანონმდებლობაში, მაგრამ ოპპორტუნისტებმა ყური არ ათხოვეს ამ მოთხოვნილებათ და რეაქცია დღითი-დღე ძლიერდებოდა...

უკანასკნელ დროს, როდესაც ქვეყნის მართვა-გამგეობა რადიკალთა კაბინეტს ჩაუვარდა ხელში, დემოკრატიას იმედი მიეცა პროგრესიულის რეფორმების განხორციელებისა. ამგვარი უმთავრესი რეფორმა, რომელიც განიზრახა ბურჟუას კაბინეტმა იყო—შემოსავალზე პროგრესიულის გარდასახადის დაწესება, რომლის შინაარსიისა და ხასიათის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი ჩვენს მკითხველებთან. როგორც-კი იგრძნეს ოპპორტუნისტებმა, რომ მათ ნიადაგი ხელიდამ ეცლებათ, მაშინვე ამხედრდნენ სამინისტროს წინააღმდეგ. პარლამენტში, სენატში, ჟურნალ-გაზეთებში ატყდა ბრძოლა ოპპორტუნისტთა და სამინისტროს შუა; უკანასკნელს მხარი მისცეს ყველა პროგრესიულ დასებმა—რადიკალთა და სოციალისტთა პარტიების ყველა ჯგუფებმა. პარლამენტში და უმთავრესად სენატში უმრავლესობა რეაქციონერთ ეკუთვნის და ამიტომაც ფორმალურად ჯერ-ჯერობით ოპპორტუნისტებმა გაიმარჯვეს. მაგრამ ზნეობრივი გამარჯვება უთუოდ ბურჟუას სამინისტროს ხვდა. საფრანგეთის დემოკრატიამ ბოლო ხანებში არა ერთხელ გამოუცხადა სხვა-და-სხვა ნაირად თავისი თანაგრძნობა სამინისტროს და არა ერთხელ გაჰკიცხა სენატი. როდესაც დრო იქნება, ამ თანაგრძნობას ფაქტიკურადაც დაამტკიცებს და ყოველს ღონისძიებას იხმარს არჩევნებში გამარჯვება დემოკრატიულს ელემენტებს არგუნოს. მაშინ შესაძლებელია ქვეყანამ ახლანდელის კონსტიტუციის გადასინჯვა და შესწორება მოითხოვოს, რათა ამ გზით შეზღუდულ იქმნან სენატის უფლებანი, რათა დამცირებულ იქმნას ეს ოპპორტუნისტთა ციხე-სიმაგრე. ამგვარი მოძრაობა უკვე დაიწყო საფრანგეთში: გუშინდელმავე დეპეშამ გვაცნობა, რომ ქალაქის საბჭომ 38 ხმის უმეტესობით მწუხარება გამოაცხადა სამინისტროს სამსახურიდამ გადადგომის გამო და მოითხოვა კონსტიტუციის გადასინჯვა დემოკრატიის უფლებათა დასაცველადაო.

პარისის საბჭოს ბანს მისცემს უთუოდ მთელი დემოკრატიული საფრანგეთი და, ვინ იცის, როგორ ფაზისში ჩადგება ბრძოლა და რა ფორმებს მიიღებს იგი!?

ლალი.

## ახალი ამბავი

*** ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზედ დასასწრებლად მიწვეულნი არიან გარდა თავად-აზნაურთა და ქალაქების წარმომადგენელთა, გლეხთა წარმომადგენელნიც. ტფილისის გუბერნატორმა თავის დროზე აუწყა ეს ამბავი ყველა მაზრის უფროსს ტფილისის გუბერნიაში და ამ ჟამად თითქმის ყოველმა მაზრამ თავისი წარმომადგენელი აირჩია მოსკოვში წასასვლელად და იქ ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინის კურთხევაზე დასასწრებლად.

გლეხთა წარმომადგენელნი მამასახლისნი არიან, თითო მამასახლისი მთელ მაზრიდამ. ეს წარმომადგენელნი უნდა გამოცხადდნენ ბ-ნ გუბერნატორთან ამ თვის 22 რიცხვსა იმ ტანსაცმელით, რომელშიაც ისინი წარსდგებიან მოსკოვში. გლეხთა წარმომადგენელთ მოსკოვში განსაკუთრებული სახლი აქვთ დამზადებული მთავრობისაგან, სადაც ყველაფერი ექმნებათ, გარდა ბალიშისა, რომელიც თვითონ უნდა წაიღოს ყველამ თავისი.

მუდამ დღე, 4 მაისიდამ დაწყებული მოსკოვის რკინის გზის სადგურზედ განსაკუთრებული კაცი დახვდება მიმსვლელებს, რომ აქედამ პირდაპირ მიაცილონ ბინაზედ.

ტფილისის მაზრიდამ, როგორც გვაცნობეს, სოფ. მარტყოფის მამასახლისი ნიკო ბერიშვილია ამორჩეული.

*** ქ. ხარკოვის უნივერსიტეტში და ტეხნილოგიურ ინსტიტუტში სწავლობენ ქართველი სტუდენტები:

საექიმო ფაკულტეტზედ: 1) თოფურიძე კლემენტი, 2) ეფიმოვი ანტონი, 3) კარგარეთელი ივანე, 4) მახვილაძე ვლადიმერი, 5) გოკიელი გაბრიელი, 6) ინაშვილი ვლადიმერი, 7) მოსეშვილი, ვარლამი, 8) ჰიჰინაძე პარმენი, 9) ღოღობერიძე გიორგი, 10) ჯაფარიძე სიმო-

---

## ფელეტონი

**სამი ცრემლი**

ანუ

დედის ანდერძი

„გველს ხვრელიდამ ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი".

II*)

„გავეცანი და დავუმეგობრდი. ძალუა-ჩემმა კეკემ ნათლობა გადიხადა; მთელი მეზობლები მოიწვია სამეჯლისოდ. შვილი რევაზმა მოუნათლა. სადილს სამხარი მოჰყვა, სამხარს ვახშამი—და ლხინი მეორე დღემდის გაგრძელდა... რევაზმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, დიდი სიხარული და იმედები გამოიწვია თავისის მოხერხებულის სიტყვით; ბევრს ახალგაზდა ქალიშვილს აუტოკა გული და ჩემი გული ხომ, ისეც ატოკებული, თითოეულს მისს სიტყვას დაენაცვლა... ოხ, ღმერთო დიდებულო! რაოდენი ცბიერება შესძლებია ადამიანს; რაოდენს სიბინძურესა და ცოდვას დამალავს თურმე გულის სიღრმეში! რა ანგელოსურს სახის გამომეტყველებას მიიღებს მაშინ, როდესაც მისი სული ბოროტისა და უკუღმართის განზრახვებისაგან თრთის და მსხვერპლს ცოდვის ქსელში ახვევს!.. რა ტყუილი ყოფილა, ვითომ თვალები სარკე იყოს სულისა და მოწმე მისის ვითარებისა, ენა—უტყუარი ელჩი ჭკუისა და გრძნობისა. არა! ნაზი, სიცოცხლით გაბრწყინვებული, დათაფლული თვალები და ენა „ტკბილად მოუბარი" თვით სატანის კერძი ყოფილა, თვალ-ახვევით საჯოჯოხეთო გზაზე წამყვანი...

მე არას დროს არ დამავიწყდება ის სიტყვები, რომლითაც რევაზმა სადილის დროს მიჰმართა დამსწრეთ: „ჩვენი, ქვეყანა—სთქვა იმან,—ქვეყანა მრავალიტანჯული და მრავალ ჭირნახული მთელის დედამიწისათვის საარაკოდ გარდაქცეულა. რამოდენისამე საუკუნოს მუდმივმა ომმა, ცეცხლმა, მახვილმა და მუსრმა, რომელთაც ყოველი დიდებული სახელმწიფოც-კი მტვრად უნდა ექციათ, ვერ აღმოფხვრეს ქართველი ხალხი, მისი სარწმუნოება, ენა და ეროვნული თვისებანი; ეს ედემის მზგავსი მხარე, ეს გმირთა სამეფო და გრძნობათა საბადნარო, თითქმის ყოველ დღე თავის ერთგულ შვილთა სისხლით ირწყვებოდა, მათის წმიდა ძვლებით იფინებოდა და გამწარებულ დედათა მდუღარე ცრემლებით ინამებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარეგნობითაც, თითქოს განგებ, უფრო ლამაზდებოდა და სულიერათაც ფოლადდებოდა!.. ამგვარად განგებამ ჩვენი ელფერი, ეროვნული სიმდიდრე, დაანდერძებული დიდებულის წარსულისაგან, მე-XIX საუკუნის დასაწყისამდის მიგვატანინა... აქ სულ სხვა გვარად დატრიალდა ცხოვრების ჩარხი: სარწმუნოებრივმა ერთგვარობამ შეგვაფარებინა თავი უფრო ძლიერ ერთან და იმ დღიდამ მოისვენა ჩვენმა მკლავმა და ხმალმა!.. მოისვენა, მაგრამ მათთან ერთად მოისვენა, მიიძინა ჩვენმა ეროვნულმა ცნობიერებამ და ბრწყინვალე ცხოვრების გარეგნობამ ერის თვით-სახიერებას ხავსი და ობი მოსდო. ამგვარად ცხოვრება სიზმრად გარდაგვექცა და იმ უფსკრულამდის, რომლამდისაც მოსისხლეთა მახვილმა ვერ მიგვიყვანა,—ნელ-ნელა, ჩვენის ნებით, მივყავდით მომხიბლავ ცხოვრებას... ეს იყო მესამოცე წლებამდის. მხოლოდ მაშინ, ვით ზარმა განკითხვის დღისამ, დაიგრიალა ეროვნულმა გრძნობამ, გადაურბინა ქუხილით მთელის ქვეყნის გულს და სასიცოცხლოდ ააძგერა. ამ გვარს მისს გრგვინვას სხივფენით მიეგება ხმა ერისა და ასეთს სამართლიანსა და ძალმოსილს საერო ძარღვის ცემას თავი მოუხარეს თვით მტრებმაც ამ დიადის ლტოლვილებისამ... მაშინ ჩვენს პატარა ქვეყანასაც გაუჩნდნენ მერცხლები ეროვნულის გაზაფხულისა, ჩამოჰკრეს აპოლონის სიმებს და ციურის ჰანგებით თავისს საყვარელს ერს მოაგონეს თვისი წარსული ვინაობა, მამა-პაპათა ანდერძი. ერი გამოფხიზლდა, გამოირკვა და დღეს ისეთს უტყუარსა და საიმედო გზას ადგას, რომ მისი ხელ-ახლად მიძინება არავითარს მანქანებას და ძალას აღარ შეუძლია... ერთობის, თავისუფლების და ძმობის მოძლვრებამ ხმა მაღლა იწყო ღაღადი; იმედმა ფრთები გაშალა; ენამ ძარღვი გაიხსნა; დაარსდნენ სკოლები, ბიბლიოთეკები, საზოგადოებანი და ამხანაგობანი, რომელნიც შეძლებისა დაგვარად სდევნიან წყვდიადს უმეცრებისას და განათლების ნათელსა ჰფენენ; თვით ერმა შეიგნო საჭიროება და აუცილებლობა განვითარებისა და სწავლის შეძენისა; დაუკვირდა ისტორიისა და ცხოვრების მოთხოვნილებას და ხმა შეუერთა განათლებულ სახელმწიფოთა საერო ხმას... ამ გვარს საბედნიერო გზას წინმსვლელობისას ადგას ჩვენში ქალიც და კაციც. სხვა კიდევ ბევრი საბუთია ჩვენის სიკეთის. ამისათვის აღარაფერი არ გვინდა ჩვენ ეხლა მის მეტი, რომ მივცეთ ურთმანეთს ხელი და ყოველს გარემოებას, რომელიც ხელს გვიშლის და ჰსურს ამ მართალის გზიდამ ფეხი აგვაცდინოს, გავუმკლავდეთ და შევებრძოლოთ საერთო შრომითა, გულმოდგინებით და დახმარებით, რომელსაც უნდა გავუძღოლოთ უზაკვო პატიო-

*) იხ. «ივერია» № 79.

ნი, 11) ასათიანი ივანე, 12) კიკალიშვილი პოლიევქტო 13) ჯანდიერი ნიკოლოზ, 14) არდაზიანი პავლე, 15) ბაქრაძე ბიქტორი, 16) გვერდწითელი გაბრიელი, 17) ხუსკივაძე ბიქტორი, 18) ალხაზაშვილი ალექსანდრე—ფარმაცევტი, 19) იოსელიანი ნიკოლოზ—-კბილის ექიმი;

ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზედ: 1) წერეთელი გედეონი მათემატიკი და 2) გულისაშვილი სოლომონ—ბუნების მეტყველი; ტეხნოლოგები: 1) ჯანდიერი სიმონ, 2) დაკიშევიჩი კოსტანტინე, 3) ქურდოვანიძე გრიგოლ, 4) მუსხელიშვილი იოსები და 5 მეფისაშვილი სვიმონი.

ასე რომ ხარკოვის უმაღლესს სასწავლებლებში არის 26 ქართველი კაცი. იმათგან ექიმები შეადგენს 73%, ტეხნოლოგები—19%, მათემატიკოსები 8%, იურისტები და ფილოლოგები სულ არ არიან.

ამათგან მხოლოდ ათი იღებს ხარჯის ფულს ცოტად თუ ბევრად, (ამათგან ორი ღებულობს კავკასიის სტიპენდიას), დანარჩენნი-კი დიდს გაჭირვებაში არიან სიღარიბის გამო.

⁂ ქალაქის რწმუნებულთა არჩევნანზე ქ. თელავში 7 აპრილს სულ 20 ყუთი იქმნა დადგმული და ამათში ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ სულ 15 კაცი. აქედამ ქართველი მხოლოდ 2 აურჩევიათ, დანარჩენნი-კი სომხები არიან. მაგრამ, როგორც სჩანს, ბევრი უკმაყოფილონი თურმე არიან, რადგანაც თავმჯდომარეს ნება მიუცია არჩევანში ისეთები მოჰხვედროდნენ, რომლებსაც ამისი უფლება არა ჰქონდათ.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზ."-ეს შეუტყვია, ახლად, დინიშნული კავკასიის ქალთა „ინსტიტუტის უფროსი ქ-ნი ბუტურლინისა ივნისის პირველ რიცხვებში ჩამოვა თურმე ტფილისში.

⁂ 19 აპრილს ქალაქის გამგეობისა და საბჭოს კომისიის სხდომაზე, რომელზედაც რჩევა ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რითი აღვნიშნოთ მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის წმ. დაგვირგვინებაო, აღძრულ საგანთა შორის მხოლოდ ერთი გარდასწყვიტეს, სახელდობრ ის, რომ ითხოვონ ქალაქის ღარიბ მცხოვრებლებზე დარჩენილი შეუტანელი გარდასახადი 20,000 მანეთი, რომელიც 1892 წლიდამ ირიცხება მათს უძრავ ქონებაზედ ეპატიოთ. შემდეგი სხდომა კომისიისა მომავალს კვირას არის დანიშნული. (ნ. ო.)

⁂ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრებაზე, 20 აპრილს, სხვათა შორის, განხილული იქნება ის საგანი, რომ ქ. ბაქოში სამთო სასწავლებლის დაარსებაში ნავთის მწარმოებელთ მონაწილეობა მიიღონ. (ნ. ვ.)

⁂ ამ თვის გასულს პეტერბურგში კვალად დაიწყებს მუშაობას კომისია, რომელიც სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორის ვ. ი. კოვალევსკის თავმჯდომარეობით შესდგა შარშან იმ აზრით, რომ გამოიკვლიოს, თუ რა საშუალებანი უნდა იხმარონ, რომ რუსეთის სამეურნეო ნაწარმოები უფრო მეტი გადიოდეს საზღვარ-გარეთ. (მ. ვ.)

⁂ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან ამ ჟამად დიდ მზადებაშია მთავრობა, იმის შესახებ, რომ რუსეთში ხალხის აღწერა მოხდეს იმ წესითა და რიგით, რომელიც შემუშავებული აქვთ. ყოველს აღწერის გამო ხალხი შეშინებულია, ჰფიქრობს, რომ აღწერა იმიტომ უნდა მოახდინოს მთავრობამ, რომ უფრო მეტი ხარჯი შეგვაწეროსო. მთავრობას-კი ეს განზრახვა არა აქვს, უნდა მხოლოდ ნამდვილი რიცხვი შეიტყოს მცხოვრებლებისა რუსეთის სახელმწიფოში.

მთავრობამ წიგნაკები დაჰბეჭდა, რომ აუხსნას ხალხს საგანი ახალის აღწერისა. ეს წიგნაკები რუსულს ენაზედაა დაბეჭდილი, მაგრამ რამდენი სხვა ტომის ხალხია რუსეთის სახელმწიფოში, რომელმაც რუსული ენა არ იცის. ამის შესახებაც უმაღლესი ბრძანება იყო თავის დროზედ გამოცხადებული, რომ სადაც საჭიროება მოითხოვს, ახალის აღწერის „დებულება" და წეს-რიგი უცხო ტომთა ენებზედ იქმნეს გადათარგმნილი, მხოლოდ იმ ხალხის ენებზედ, რომელსაც თავის მწერლობა აქვს.

თანახმად ამ ბრძანებისა, ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ყველა მაზრის უფროსებს წარმოადგინონ საჭირო ცნობანი იმის შესახებ, რამდენი სულია სხვა ტომთა მცხოვრებლებისა, სად სცხოვრობს ეს ხალხი და რა ცვლილებაა საჭირო, რომ შეიცვალოს ამისათვის აღწერის „დებულების" ზოგი მოთხოვნილება, განსაკუთრებით შესახებ იმისა, თუ როდის უფრო ადვილია მოხდეს აღწერილობა და რამდენი კომისია უნდა შესდგეს აღმწერელთა. რასაკვირველია, ამ ცნობებთან ერთად ისიც უნდა წარუდგინონ მაზრის უფროსებმა ბ-ნ გუბერნატორს, რომელ ენაზედ რამდენი ცალი უნდა დაიბეჭდოს „დებულება" და სხვა წიგნაკები აღწერის შესახებ გამოცემული მთავრობისაგან.

⁂ კვირას, ამ თვის 14, საღამოს ხუთ საათზედ პოლონელი დრევნიცკი ჩვენს ქალაქში მეოთხეთ აფრინდება ჰაეროსტატით და პარაშიუტით ისევ დაეშვება დედა-მიწაზედ.

⁂ ანგარიშებიდამ სჩანს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქში 1894 წელს სულ ყოფილა 1131 სასწავლებელი, რომელთაგან საშუალო ყოფილა 41, 55 დაბალი, 94 კერძო 941 პირველ-დაწყებითი. ამ სასწავლებლებში სწავლობდა სულ 91026 ბავშვი, რომელთაგან 69911 ვაჟი ყოფილა და 21115 ქალი. საშუალო სასწავლებლებში იყო სულ 12850 მოსწავლე, დაბალ სასწავლებლებში—9479, პირველ-დაწყებითსა და კერძო სკოლებში—68697. ყველა ამ სასწავლებელთა შესანახად 1894 წელს გადადებული იყო 3,722,131 მან. (საშუალო სასწავლებლებზე 1,806,109 მან., დაბალ სასწავლებლებზე — 533,421 მან., კერძო და პირველ-დაწყებითი სკოლებზე—1,382,601 მან.); ამ ფულიდამ ხაზინას გადუდვია 1,123,932 მან. ან 30,2%, საერობო გარდასახადებიდამ გადუდვიათ 74,771 მ. ან 2%, ქალაქების თვითმართველობათ 414,093 მ. ან 11,1%, სოფლის საზოგადოებათ 488,093 მ. ან 13,1%, საქველმოქმედო საზოგადოებათ 16,463 მ. ან 0,5%, ეკკლესიებსა და მონასტრებს—13,815 მ. ან 0,4%, ყაზახთა ჯარების თანხიდამ (ჩრდილო კავკასიაში) 136,074 მ. ან 3,7% სწავლის ფასიდამ, პანსიონერთაგან და სხ. შემოსულა 1,454,671 მან. ან 39,1%.

⁂ სოფ. ხუმელაგში მცხოვრებს დობირა თუაევს ჰყვანდა ერთად-ერთი თვრამეტის წლის ვაჟი ყამბოლათა, რომელსაც ცოლი მოუყვანა წარსულს იანვარში. ოცდა-შვიდს მარტს, ღამე, იმ დროს, როცა ტკბილად ეძინა ახლად მოყვანილ ცოლთან, საბრალო ყამბოლათა თუაევს, შეუცვივდნენ ბოროტ-მოქმედნი და სანთელი აანთეს, რომ გზა გაენათებინათ. ამ დროს გამოეღვიძა ყამბოლათას მეუღლეს, რომელმაც გააღვიძა თავისი ქმარი. საბრალო ყამბოლათამ წამოიწია თუ არა ლოგინიდამ ავაზაკნი მისცვივდნენ, პერანგი გადააფარეს და ყელში თოკი წაუჭირეს; მეორე ავაზაკი მიჰვარდა ცოლს, მასაც ყელში წაუჭირა ხელი შესაშინებლად და უთხრა: „არ გაინძრე, ან არ ამოიღო ხმა, თორემ ლუკმა-ლუკმა აგკუწავთო." საბრალო ახალგაზდა გამოუცდელმა ქალმაც განაბა სული. ბოროტ-მოქმედთა ბევრის წვალებისა და ტანჯვის შემდეგ დაარჩვეს საბრალო ყამბოლათა, გახადეს პერანგი, რომელიც პირიდამა და ცხვირიდამ წამოსული სისხლით იყო შეღებილი და იქვე ფეჩის გვერდით შეჩქმალეს და ისე შიშველი დამრჩვალი თრევით გამოიტანეს ეზოში და დააგდეს, საცა ცხენები და ხარები ებნენ. მერმე ბოროტ-მოქმედნი შეუბრუნდნენ საბრალო დედაკაცსა და ძალადობა იხმარეს. ამ რიგად რიერაჟამდის დაჰყვეს თურმე, როგორც სთქვა საბრალო დედაკაცმა. შემდეგ წაჰხურეს საბანი თავზედ და დაემუქრნენ: „არ გაინძრე, არც ხმა ამოიღო—არც გაგვცე, თორემ ჩვენ აქვე გარეთ დამალულნი ვიქნებით. შემოგვივარდებით და დაგკუწავთო." ნატანჯსა და შეშინებულს ქალს მართლა თურმე ჩასძინებოდა, ასე რომ სანამ კარგად არ მოდღევდა და დედამთილი არ შევიდა გასაღვიძებლად არა გაუგია-რა. (დღესაც ავად არის დედაკაცი). შემდეგ ეზოში რომ გამოვიდნენ, საბრალო ყამბოლათა დამრჩვალი ეგდო საქონლის გვერდით.

## შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ 28 აპრილისათვის დანიშნულ ლატარია-ალეგრისათვის შემოსწირეს: 1) კნ. ეკატერინე ივანეს ასულმა ვაჩნაძისამ კაკლის ჩუქურთმით ნაკეთი საათი.

2) კნიაჟნა ელისაბედ გურამიშვილისამ ორი მუთაქა, ორი ბალიში ნაკერი და ორი ატლასზედ დახატული შირმა.

### კორესპონდენცია.

ს. წესი, (რაჭის მაზრა): 8 აპრილს, ღამე, სოფელ წესში შემდეგი უბედურება მოხდა მეწყერის გამო: გასკდა მიწა და ჩანთქა აქაური გლეხის ნატაბელაძის დიდი სახლი, დაანგრია საფოსტო გზაზედ აგებული ქვიტკირის შენობა ფოსტის სადგურისა, იქვე ქვიტკირის დიდი დუქანი ნ. ბარსონიძისა და სტ. ბიჭაშვილისა, სხვისი სახლები, ბეღლები ურით, სასიმინდეები სიმინდიანათ, საბძლები, სულ გაასრა და გაიტაცა დაღმა მდ. რიონისკენ, რაც დღემდის დარჩენილი იყო უვნებლად. მარნებში ღვინით სავსე ქვევრები ზოგი დახეთქა, ზოგი მთლად ჩაიკარგა მიწაში სამუდამოდ. კაცი არ დაღუპულა; ზარალი ჯერ არ ვიცით რამდენია. თვითონ იმ ღამეს ადრე შეიტყეს და დიდის წივილ-კივილით თავს უშველეს აქაურმა 50-მდე მცხოვრებლებმა; ტირილით და გვნესით გაატარეს ეს წვიმიანი ღამე ცის ქვეშ ერთ მაგარ გორაზედ, თავიანთის ცოლშვილით. ასეთის მეწყერის მნახველი აქ არავინ არის...

ასეთი შემთხვევაა სოფელ ველევშიც. როგორც ამბობენ, სკოლის შენობა

---

სნება. ამ გვარად დარწმუნდით, რომ ჩვენ მივაღწევთ სანატრელს ნავთსაყუდელს და ჩვენთა ძველთა ანდერძი, პატიოსანის სისხლით დაწერილი ჩვენის ქვეყნის მშვენიერს გულ-მკერდზე, მოესწრება აღდგომასა მას საუკუნოსა... ამ იმედით ვსვამ ამ სადღეგრძელოს და ვინატრი ჩემი წინასწარმეტყველება ჩვენდა საბედნიეროდ განხორციელდეს!..

„ვაშა!" იგრიალა მთელმა საზოგადოებამ და გაუზომელის აღტაცებით მისცვივდნენ ახალ-გაზდა ორატორს მადლობის სათქმელად... ამ წამში იგი იყო ყველასათვის რაღაც დიდებული, რომლის წინაც მუხლმოდრეკით სასოებდა იქ დამსწრეთა გრძნობა და რომლის ყოველი სიტყვა სახარების სიწმიდით იმოსებოდა...

—

მთელი ის საღამო რევაზმა ჩემთან გაატარა. იჯდა კუთხეში და სულ თავისს თანამედროვეთა პროგრამაზე მემუსაიფებოდა. მარწმუნებდა, რომ ახალთაობა ყოველს ღონისძიებას იხმარს გააუმჯობესოს ეკონომიური მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა, უმთავრესი ყურადღება სოფელს მიაქციოს, მრეწველობისა და მეურნეობის საქმე დააწინაუროს; წოდებრივი განსხვავება აღმოფხვრას; წერა-კითხვა ხალხს შეაყვაროს, ქალთა პირადი და საზოგადოებრივი უფლებანი შეუთანასწოროს მამა-კაცთა ამგვარ უფლებათ; ურთიერთობა, აღებ-მიცემობა და ნდობა გააძლიეროს და პატიოსნება დროშაზე დაიწეროს... ერთის სიტყვით სულ ამგვარს მაღალს ფარდებზედ მესაუბრებოდა, მაგრამ ისეთის გატაცებით, ისე მწყობრად, ისეთის მჭევრ-მეტყველებით, რომ ვერაფერი მუსიკა ისე ვერ დაატყვევებდა მსმენელის გულსა და გრძნობას. მე ვნეტარებდი!.. უეცრად შეჩერდა და მომაშტერდა... მე თვალი ავარიდე და იქ მყოფნი დავათვალიერე. ყველანი ჩუმად იყვნენ, მაგრამ ყველას სახეზე ეს ამოვიკითხე: ვინ ნინო და ვინ ამოდენს ხანს ყმაწვილ-კაცთან მარტოდ ლაპარაკიო!.. „არაფერია„—ჩურჩულობდა ჩვენი გიორგი—ნინო ისეთი ქალია, რომ სიოც-კი ვერ მიეკარებაო". მე ყველა ამას თვალ-ყური ავარიდე და მივუბრუნდი ისევ რევაზს. თქვენ,—ვკითხე მე,—მგონი ლექსებსაც სწერთ?

— აქამდის არ მიწერია,—მომიგო მან—მაგრამ ეხლა დავიწყე.

— ჰგავს, რომ კარგი თვისება ჰქონია სოფელს, რომ თქვენთვის ზეშთაგონება დაუმეგობრებია?

— არა, აქ სოფელი არაფერს შუაშია. აქ სხვა, უფრო ღრმა მიზეზია.

— არ შეიძლება ჩვენც გავიგოთ?

არა! შეუძლებელია! მეტადრე თქვენთან ვერ გამოვამჟღავნებ. ამ სიტყვებმა ჟრუანტელივით დამირბინეს მთელს ტანში.

— არ შეიძლება ერთი ლექსი მეც ჩამიწეროთ ამ ალბუმში? ვკითხე მე ცოტა სიჩუმის შემდეგ და ჩემი საყვარელი ალბუმი მივაწოდე.

— დიდის სიამოვნებით!.. ბედნიერად ჩავსთვლი ჩემს თავს მით, რომ ჩემის გონებისა და გრძნობის ნაწარმოებს თავშესაფარს თქვენს ალბუმში მოვუპოვებ... მიბოძეთ და ხვალ მოგართმევთ.

— ხვალ? ხვალ სად შევხვდებით ერთმანერთს?

— თქვენის სოფლის ეკკლესიის გალავანში, ნაშუადღევის ოთხს საათზე მე სასეირნოდ გამოვალ.

— კარგი, მაგრამ მე... ხმა ჩამიწყდა.

— თქვენ რა? განა, თქვენ-კი არ გესიამოვნებათ გავლა-გამოვლა, იმ მაღლობიდამ ჩვენის მშვენიერის ბუნების დათვალიერება? თუ იქნება მე გაშინებთ და ჩემში ადამიანის ნაცვლად მხეცსა ხედავთ?

— არა, მაგას რასა ბრძანებთ— წავილუღლუღე მე—და საშინლად დარცხვენილმა თავის გამართლება ველარ მოვახერხე.

— მაშ, გელოდოთ, თუ არა? მკითხა ნელის ხმით, მაგრამ დაბეჯითებით, რევაზმა.

— ცოტა შევდექი და შემდეგ, ჩემდა უნებურად, ერთბაშად წამოვიძახე: უსათუოდ შეგხვდებით!..

—

მთელი ის ღამე შფოთვასა და ოხვრაში გავატარე!.. ძილი, ჩემი მეგობარი და მომსვენებელი, იმ ღამეს აღარ მომეჩვენა, მიღალატა, დამსაჯა, ცხოვრების სიცხადის საქენჯნელად დამაგდო!.. ბევრი სხვა და სხვა გვარი ფიქრი ტრიალებდა ჩემს თავში; ბევრი გულ-საკლავი ჭეშმარიტება ჩამჩურჩულებდა ყურში; ბევრი საზიზღარი სურათი წინ დაუხედაობისა და აჩქარებისა მისურათდებოდა თვალ წინ, მაგრამ ყოველი ეს მეორე დღის სანაცვლოდ ჰქრებოდა... მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნოდი და ყოველივე, გარდა მისის ნებისა, ჩემთვის ამაო იყო...

—

ამ გვარად „ცისკარმან აღმოსავლეთი მრავალ ფეროვნად შეღება."

—

მშვენიერი დილა გათენდა, სამოთხის სილამაზე ქვეყნად დამკვიდრებულიყო. განგების მადლი მიწას ამკობდა. ძალთა ძალის დიდებულება მსოფლიოს გვირგვინს უწნავდა. საუკუნო ნეტარება კიდით-კიდემდე გალობას ავრცელებდა... ადამიანს, ცხოვრებისაგან, უსამართლობისაგან დატანჯულს ჯერ კიდევ ეძინა.. ისმოდა ფრთოსანთა ქებათა-ქება... მხოლოდ აღარ სტვენდა ჩვეულებრივად განთიადის ლოცვას ჩემი შოშია. ეს გარემოება გულში ისარივით მომხვდა. საჩქაროდ, თუმცა გულის ძგერითა და მუხლების კანკალით გავეშურე იმის სანახავად... მივედი და თავზარი დამეცა!—ჩემი მგალობელი, ერთად-ერთი და უკანასკნელი სახსოვარი დედი-ჩემისა, საუკუნო ძილს მისცემოდა... ვეღარ მოესწრო იმ ბედნიერს დილას, აღარ დაუცადა ჩემს სადღესასწაულო ჟამს —

დაუნგრევია და რვა მოსახლე გლეხები ახლა უნდა აიყარნენ და გადმორდნენ თავიანთ სამოსახლოს. სოფელ გვაცხუ-ფიც დაზარალებულია მეწყერისაგან.

მოგეხსენებათ რაჭველები ქონებას და საცხოვრებელს დაუღალავის მუშაობით იძენენ; თუ ასე მწარე ოფლით მოპოვებული ქონება-საცხოვრებელი აეოხრდათ და მოშორდნენ თავიანთს სამოსახლოებს, მაშინ მათი ცხოვრება რაღა იქნება.

დ. ერქომ—ლი.

9 აპრილი 1896 წელი.

## შილდის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა.

სოფელი შილდა, როგორც წინადაც არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, მდიდარი და ყოველისფრით შემკული სოფელია მთელს კახეთში. თუმცა სოფელი მდიდარია, მაგრამ მისი ვაჭრობა-მრეწველობა-კი ისეთის შეუგნებელის და ნოეს დროის წესით სწარმოებს, რომ ადგილობრივი, ცოტად თუ ბევრად რიგიანი ოჯახი, ხშირად გაჭირვებაშია ამა თუ იმ ნივთიერების უქონლობის და გასაღების სიძვირის გამო. ჩვენი მოვაჭრე კირაკოზ-პოლოსები ხომ ისე არიან გაკადნიერებულნი, რომ მკვიდრთა წყენინება და მათი ულმრთოდ ძარცვა-ყვლეფა ხომ აინუნშიაც არ მოსდით და ამოდენა სოფელს თავიანთს სრულს ნებაზედ ატარებენ. ამისთანებმა და მრავალმა სხვა მიზეზებმა იძულებულ ჰყო ადგილობრივი საზოგადოება შეედგინათ ამხანაგობა „სულად მოხვეწებულის სახელით. ამხანაგობას მიზნად აქვს მიაწოდოს მკვიდრთ ალაზნის გაღმა მხრისას ყოველივე ის, რაც-კი ოჯახებში სჭირდებათ კარგის ხარისხისა და რაც შეიძლება იაფ-ფასად; ამხანაგობისვე მიზანია თავისს დროზედ ადგილობრივ მოამზადოს კარგი საპონი, გამოქნას სხვა-და-სხვა ტყავის მასალა, მოამზადოს საუკეთესო ხარისხის ლორი, გამოიყენოს ადგილობრივი მცენარეულობა, დაამზადოს სხვა-და-სხვა გვარი მასალა ხისა, რომლითაც აქაური ტყე ასე მდიდარია. გამოიწეროს ყოველ გვარი გაუმჯობესებული იარაღები ხვნა, ბარვა, თესვა, თოხნისა და შეაჩვიოს ხალხი მათს ხმარებას. მოამზადოს დასნეულებულ ვენახების წამლები და შესაფერის იარაღების ხმარებით მისცეს საშუალება მკვიდრთ ვენახების წამლობისა, მოუპოვოს ბაზარი ადგილობრივ ნაწარმოებთ და მრავალი სხვა, რაც ვაჭრობა-მრეწველობას შეეხება და კანონით შეწყნარებულია. ხმის მქონე ამხანაგი მიღებულ იქმნება ზედამხედველ კომიტეტის და გამგეობის წევრთა ხმის უმეტესობით, რომელიც (წევრი) შეიძენს პაის, ღირებულს 25 მანათად. (მსურველს შეუძლია თუმანზედ ნაკლებიც შემოიტანოს ამხანაგობაში, მხოლოდ ამხანაგობის საქმეების გადაწყვეტაში ხმას მოკლებული იქნება). ყოველს ამხანაგს შეუძლია შეიძინოს ერთიდამ ორმოც პაიამდის, ანუ შეიტანოს ამხანაგობაში 25 მანეთიდამ ას თუმნადის. დამატებითი პაიების შეძენა შეიძლება ამხანაგთა საზოგადო კრების ნებართვით. არა ამხანაგს ნება არა აქვს გამოიტანოს საწევრო ფული სამს წლამდის. ყველა ამხანაგი პასუხის მგებელია ურთიერთ შორის და გარეშე პირებთანაც მარტო თავიანთის საწევრო ფულით. გამგეობა ამხანაგობისა პასუხის მგებელია ყოველს ბოროტ-მოქმედებაში, გარდა პაის ფულებისა, თავიანთის მოძრავ-უძრავის ქონებით. ამხანაგს არ შეუძლია იქონიოს იმგვარივე აღებ-მიცემობა, რა გვარიც ამხანაგობას ექნება. რომელიმე % მოგებიდამ ამხანაგობას ნება აქვს გადასდოს რაიმე საქველმოქმედო საქმისთვის (ადგილობრივ სკოლისთვის, წიგნთ-საცავისთვის და სხვ.). ამხანაგობამ წარმოება დაიწყო ამა წლის 15 იანვრიდამ. ამხანაგებმა თავიანთს პირველს კრებაზედვე, რომელიც იყო თავ. ს. რ. ვახვახიშვილის სასახლეში, სადაც პატივცემულმა თავადმა და ადგილობრივმა მასწავლებელმა წარუდგინეს საზოგადოებას წესდება*). ხელი მოაწერეს და შეიძინეს პაიები ფულის ჩამოსვლით: ძმათა ს. და დ. ვახვახიშვილებმა 300 მან., თავ. №-მა 100 მან., მღვ. მატათია მირიანაშვილმა 200 მან., მღვდ. იოროთე აივაზაშვილმა 400 მან., დავით მკევლიშვილმა 600 მან., გლეხმა ბეჟან მამუკიშვილმა 200 მან., გლეხმა მათე მამუკიშვილმა 300 მან., ზაქარია თამაზაშვილმა 600 მან., კაზბულატ ძიევმა 100 მან., ქ.ქ. ანნა ვარდიევისამ 100 მან., ოლგა მიქელაძისამ 200 მან. და ე. ჯავახიშვილმა 300 მან. **). პირველს კრებაზედვე ამხანაგებმა დიდი ნდობა და პატივი გამოაცხადეს ურთი-ერთისა. აქვე არჩეულ იქმნა გამგეობა, რომელშიაც მოჰყვნენ: ე. ჯავახიშვილი, № ® დ. კევლიშვილი, პირველი გამგეობის თავმჯდომარედ და კევლიშვილი ხაზინადრად. ზედამხედველ კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ. მ. მ. მირიანაშვილი, № და თავ. ს. ვახვახიშვილი, უკანასკნელი თავმჯდომარედ ზედამხედველ კომიტეტისა. როგორც ხედავთ პირველს ხნისთვის საჭირო თანხა პირველსავე კრებაზედ მოაგროვეს ამხანაგებმა, მხოლოდ საჭიროა თანაგრძნობა ადგილობრივის საზოგადოებისა, თავად-აზნაურობისა, სამღვდელოებისა ® მსოფლად მცხოვრებ ინტელიგენტ პირთა. ვიწვევთ აგრეთვე შილდიდან გასულს სამღვდელოებას, ინტელიგენციას და ჩვენის ვითარების გულ-შემატკივართ, რითაც-კი შეიძლება მხარი მოგვცენ ამ რთულს საქმეში.

ექ. მ—ძე.

*) ეს წესდება ჯერ მხოლოდ ამხანაგობისაგან არის ხელ-მოწერილი, მაგრამ დავალებული აქვთ თავ. ს. ვახვახიშვილს და ექ. მიქელაძეს შეადგინონ ისეთი წესდება, რომელიც მთავრობამაც დაამტკიცოს და სხვა ამგვარ ამხანაგობათათვისაც გამოსადეგი იყოს.

**) რადგან ზოგს პატივცემულ სამღვდელოთ პირველს კრებაზედ ვერ მოახერხეს ფულის ჩამოსვლა, ეხლა სურვილი გამოცხადებული აქვთ: მღ. ივ. ალნიაშვილს 600 მან. მღ. თომა, ლევან, ნიკოლოზ და ესტატე მირიანაშვილები, პატივცემულთ ნიკოლოზ და ნინო მთვარელიშვილებს და მრავალს სხვას.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის დედაქალაქისა და პროვინციების ჟურნალ-გაზეთობა, ზოგი პარტიის ინტერესებით გატაცებულნი და ზოგიც ინგლისის გარდამეტებულის ტრფიალებით (ამგვარი ბევრია საფრანგეთში), ამბობს, რომ რუსეთი ისე უკმაყოფილოა ბურჟუას შინაურის პოლიტიკით, რომ ეგვიპტის საქმეში მხარს აღარ მოგვცემსო. ამგვარი წერილი დაისტამბა „მატენში“, რომელიც თანაც სცდილობს ინგლისს დაუახლოვოს საფრანგეთი. ლორდ სოლსბერის არავითარი გადაჭარბებული მოთხოვნილება არ წარუდგენია საფრანგეთის მთავრობისათვის და გულითა და სულით სწადიან საფრანგეთთან მეგობრულად და თანხმად იმოქმედოსო. ამიტომაც ზემოხსენებული გაზეთი ურჩევს საფრანგეთის მთავრობას სუდანის ექსპედიციის შესახებ თანხმობა განაცხადე და ამნაირად ინგლისის გული მოიგე, რათა ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესო საქმეებში დაიყოლიო ინგლისიო, ამას თხოულობს საფრანგეთის ინტერესები, როგორც ხმელთაშუა ზღვაში, ისე სამაჰმადიანო აფრიკაში.

**ეგვიპტე.** „ტაიმსს“ მოჰყავს შინაარსი დიპლომატიურის მიწერ-მოწერისა სულთანსა და ეგვიპტის ნაიბის შორის დონგოლის ექსპედიციის შესახებ. „ტაიმსი“ ამბობს, რომ პორტას დააძალაო საფრანგეთმა და რუსეთმა—ნაიბს მოსთხოვე პასუხი ექსპედიციის შესახებაო. ნაიბმა უპასუხა, რომ სუდანის დაპყრობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სულთანის ფირმანებსაო. პორტამ შეუთვალა, მაინც უნდა მოგეთხოვა ნება ჩვენგან, რადგანაც ომი მაჰმადიანთ შორის უნდა ატყდესო. ნაიბმა ამაზედ პასუხად უგო, რომ დერვიშები არ უნდა ითვლებოდნენ მართლ-მორწმუნეთო. ამაზედ პორტას აღარაფერი არ შეუთვლია. ეგვიპტეში-კი ამბობენ, ერთობ აჩქარდა ინგლისი,— ჯერ არავისთვის არც-კი უნდა გაეგებინებია, თუ სუდანის დაპყრობა ჰსურსო. შემოდგომამდის ექსპედიციის ლაწყება შეუძლებელია, რადგან ამას იქით შეუწყვეტელი წვიმები დაიწყება ეგვიპტეში, ხოლო ამ ხუთის თვის განმავლობაში მაჰდისტები კარგად მოემზადებიან და ომი მეტად გაძნელდებაო. თუ დაუჯერებთ გერმანულ გაზეთის „კელნიშე ცაიტუნგის“ კორესპონდენტს, ეგვიპტის ჯარის კაცები სრულიად უკმაყოფილოდ ემზადებიან ომისათვის და ხალხიც არ თანაუგრძნობს მას. თუმც ინგლისელები და იტალიელები ყოველთვის ამარცხებდნენ მაჰდისტებს, მაგრამ ეხლა ეშინიათ მტრის რიცხვისა და გამწვავებულის ფანატიზმის.

**გერმანია.** „ფიგარო“ ამბობს, რომ ვილჰელმ II-ეს თავისის მოგზაურობით იტალიაში უნდოდა იტალიელების დამცირება შეესუსტებია. ეხლანდელს იტალიას არ შეუძლია გაძლება, თუ მფარველი არა ჰყავს. დღეს ეს მფარველი გერმანიაში მოიპოვაო. „ტანს“ მიაჩნია სრულიად კანონიერად, რომ ავსტრია სცდილობს გერმანიას ყოველნაირი სამსახური გაუწიოს, რადგან იგი ერთად ერთი მომხრეა მისი, გერმანიის იმპერატორიც, რასაკვირველია, თავაზიანად ეპყრობა ავსტრიას.

„ტაიმსი“ იმ აზრის არის, რომ რაც უნდა ეცადოს გერმანია რუსეთთან დაახლოვებას, ამას ვერ დაივიწყებს, რომ ავსტრ-უნგრეთის კავშირი უფრო სასარგებლოა მისთვისო. ავსტრიამაც უნდა შეიგნოს, რომ გერმანიის მომხრეობა მეტად საჭიროა მისთვისაო. იტალიას ხომ სხვა გზაც არა აქვს, თუ არ გერმანიასა და ავსტრიასთან კავშირი და გერმანიისა და ავსტრიისათვისაც არ არის უსარგებლო, რომ იტალია მომომხრედა ჰყავთ. რაიცა შეეხება ინგლისს, მასთან თანხმობა აფრიკაში იტალიისათვის მიუცილებელია და დიდ-მნიშვნელოვანი; გერმანია-კი, თუმცა ტრანსვაალის საქმეებში ცოტა აწყენინა ინგლისს, მაინც სცდილობს მასთან მეგობრობას და ამტკი-

---

ნაშუადღევის ოთხს საათს... „ვაი, ეს ცუდი ნიშანია“ —ჩამძახა რაღაცამ ყურში, გულ-ამომჯდარი შევვარდი ჩემს საწოლ-ოთახში, დავემხვე პირქვე ბალიშზე და მწარე ქვითინი დავიწყე... ამასობაში ჩამძინებოდა...

—

როდესაც გამომეღვიძა—დღე და ღამე გაყრილიყო. ჩემს მაგიდაზე ვნახე ალბუმი და პატარა ბარათი: მშვენიერო ნინო! გაახლებთ თქვენს ალბუმს, რომელშიაც თქვენის ბრძანებისამებრ ჩავწერე მცირე ლექსი... ნუ გამკიცხავთ, შოთა არა ვარ, რომ სავსებით გამოვსთქვა ის გრძნობა, რომლის მონაც ეხლა მე ვარ და რომლის სათავე თქვენი უმანკო გულია. რაც ჩემმა უძლურმა კალამმა ვერ გამოსთქვა, იგი აღავსოს თქვენმა გონებამა და გრძნობამ... დღეს უეჭველია ავად ბრძანდებით, რომ თქვენს სიტყვას უღალატეთ; სამაგიეროდ იმედი მაქვს, ხვალ, ნაშუადღევს, მექნება ბედნიერება ვიხილო ჩემი ღმერთა „ჩხრიალას“ პირად, რომ მარტოდ-მარტო, თავისუფლად, მხოლოდ ღვთის დასწრებით, გარდავუხსნა ჩემი გული, უძლეველის სიყვარულის ძალისაგან დაღარული და დაწყლულებული... ნახვამდის, ნუ უარჰყოფთ თქვენს ერთგულს მონას რევაზს... აქ ნინომ გააღო კამოდი, გამოიღო ალბუმი და წაუკითხა ტასოს შემდეგი ლექსი:

მე მინახავს მაისის მზე,
მადლ-შვენებით აღმოსული,
რომლის ხილვით ნეტარებდა
მთელის ქვეყნის გრძნობა, სული;
მე მინახავს ოკეანო,
თვალ-უწვდი, სულ-განაბული,
რომლის გულიც სათაყვანო
მთვარით იყო მოკაზმული;
მე მინახავს ღრუბელთ შორის
ცისარტყელა მონარნარე,
რომელსაც რომ სრულ იმედით
შეჰყურებდა არე-მარე;
მე მინახავს ტურფა ვარდი,
წალკოტთ მეფად გაბადრული,
რასაც გული აკვდებოდა,
დაჰხაროდა ეშხით სული;
მე მინახავს რაფაელის
თვით მადონა მშვენიერი,
რომლის წინაც განცვიფრებით
მუხლს იყრიდა მთელი ერი;
მე მინახავს თვითონ ღმერთი,
ოცნებისგან დასახული,
რომელსაც რომ ხსნასა სთხოვდა
სახული და არ სახული...
მყის იმათთვის ჩემი გული,
სული, გრძნობა—ყველა ერთად,
ვით გუნდრუკი, მიკმევია—
დამისახავს ჩემდა ღმერთად!
მაგრამ, გრწამდეს, იმათგანაც
მიქცევია მალე პირი,
მომნატრია სხვათა ხილვა,
სხვა ლხინი და გასაჭირი...
შენ რა გნახე—შევიცვალე,
სხვათა ხილვა აღარ მინდა,
მაგ უმანკო, მადლ მფრქვევ სახემ
ჩემი სული დაიწინდა!
ვარდი მინდა—შენში ვხედავ,
მზის სხივს ვნატრობ—მასც შენ მივლენ,
თვით ღვთის ნაცვლად შენ მესახვი,
სიცოცხლეს მძენ და გულს მილხენ.
აღარ მინდა მე ბუნების
მშვენებანი ყველა ერთად,—
შენ მიყვარხარ, შენ მეყოფი
ედემად და სალოც ღმერთად!..

—

მეორე დღეს, დანიშნულს დროზე, „ჩხრიალას“ პირად ვიჯექი და გულის ძგერით მოველოდი ჩემის მბრძანებელის მოსვლას. სწორედ იმ ალაგს ვიჯექი, სადაც პირველს ჩემს ცრემლს უმადურმა „ჩხრიალამ“ სიცილი დააყარა. მდინარე დაწშვიდებით, თითქმის უხმოდ მიიკლაკნებოდა ქვემო ჭალებისაკენ; ხმა ნახევრად, გაურკვევლად ესაიდუმლებოდა თავისს ნაპირებს. რამდენადაც უფრო უმატებდა ჩემი გული ძგერას, იმდენად უფრო ნელა მოგზაურობდა „ჩხრიალა“, თითქოს ყურს მიგდებდა და უადამიანობის დროს ჯაშუშობას ის ასრულებდა... დამაფიქრა... ფიქრი ნაღველმა შესცვალა, ნაღველი ოხვრა-კვნესამ და სასოწარკვეთილების მორევში შევსცურე. მაგრამ ამ დროს „შენ გენაცვალე, ჩემო ღმერთავ, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო სულის დგმავ, შემომძახა უეცრად რევაზმა და გარდამეხვია... მეც საშინელის ხმით შევკივლე და გულში ჩავეკარი... ჩემმა თვალმა მეორედ გარდმოსწვიმა ცრემლი, ცრემლი განუსაზღვრელის სიხარულისა... „ჩხრიალამ“ წინანდებურად სიცილი დამაყარა, მაგრამ სიომ-კი ხმა აღარ გასცა...

—

როდესაც გონზე მოვედი, გამოვერკვიე—ჩემს საწოლ ოთახში ვიწექი. არავინ ჩემთან არ იყო, მხოლოდ კედლის საათი მწყობრის რაკარუკით აფრთხობდა მყუდროებას... ჩემდა უნებურად ჩემი თვალები პირველად დედი-ჩემის სურათისკენ მიიქცნენ. — მინდოდა მშობლისათვის პირდაპირ შემეხედნა, რომ იქ ამომეკითხა განაჩენი ჩემის ბედნიერების შესახებ...ვნახე—სურათი პირქვე ემხო მაგიდაზე, გავაწვდინე ხელი, რომ სურათი ამეღო და შემეხედნა თვალებში, მაგრამ რაღაც ფარულმა ძალამ ხელი ჩამომაშვებინა... ავღელდი! ტირილი მომენატრა... შემეშინდა მისი, რომ ვაი თუ იმ თვალებში ველარ მეპოვა ის სათნოება, სიყვარული და ალერსი, რაც იმ დღემდის, ვით ცოცხალი ანდერძი, მცველად მიდგნენ! ვაი, თუ იმ თვალების ჩვეულებრივი, მშობლიური გამომეტყველება ჩემთვის მაშინ ისე მომკვდარიყო, როგორც მათთვის მოკვდა ნინოს ბეჯითი, მოსაწონი ხასიათი და მისი უმანკოება!.. ამ საშინელის მქუჯნელის შიშის ზარის ქვეშ უიმედოთ და საზარლათ ავქვითინდი... გვიანღა იყო!—ჩემთვის ყოველივე გათავდა, დაიღუპა!..

გრ—ა.

(დასასრული იქნება).

ცებს ყოველთვის, რომ ამ მეგობრობას დიდად აფასებსო. „სტანდარდი“ თანაგრძობას უცხადებს „სამთა კავშირს“ და ამტკიცებს, რომ ამ კავშირისათვის მეტად საჭიროა ინგლისთან დაახლოებაო.

## თეატრის მატიანე.

—

ხუთშაბათს, 11 აპრილს, რუსულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ლეონ ტოლსტოის ცნობილი დრამა „მეფობა წყვდიადისა“, შინაარს ამ დრამისას მკითხველთ არ გადავსცემთ, რადგანაც უმეტეს ნაწილმა უკვე იცის და რადგანაც ეს დრამა უკვე გადაითარგმნა ქართულად და მალე კიდეც დაიბეჭდება. წარმოდგენის შესახებ-კი ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ანსამბლი ჩვეულებრივად სრული და მწყობრი იყო; რაც შეეხება კერძოთ უმთავრესის როლების წარმომდგენლებს, ყველანი სუსტნი იყვნენ, ვერც ერთმა საკმაოდ მძლავრად, მკაფიოდ ვერ დაგვიხატა შესანიშნავის დრამის გმირები. საზოგადოთ ეს დრამა მეტად ძნელი წარმოსადგენია და თვით სატახტო ქალაქთა სცენებზედაც ვერ მოახერხეს როგორც რიგია მისი წარმოდგენა.

თეატრი სრულიად სავსე იყო.

## ღია წერილი *)

### I

ბ. კ. თავართქილაძეს.

ჩვენს შორის ატეხილის საპოლემიკო საგნის შესახებ მე თქვენ გამოგიწვიეთ სამედიატორო სამართალში. ხუთი თვის სიჩუმის შემდეგ თქვენ გაზეთი „კვალი“-ს № 11 1896 წ. შემწეობით მიცხადებთ თანხმობას მედიატორთა სამართალში გამოსვლასას იმ პირობით, რომ ვინც ჩვენგანი გამტყუნდება გადაიხადოს ხუთასი მანეთი. (500 მ.) მე ვითხოვე სამართალი და ფული არ დამისახელებია, რადგან არ ვრაცხდი სამართლიანად, რომ სამართალი უფულოთ არ მეღირსოს. ეხლა, რა-კი თქვენ უფულოთ არ ნებულობთ, მეტი რა გაეწყობა, გეთანხმებით. „იმ პირობითა“, რომ, ფული წარვადგინოთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ და შემდეგ დავასახელებ მედიატორებს. სხვა მხრივ არ შემიძლია დაგეთანხმოთ, რადგან ნისიამ ჩემს სპეციალურ სავაჭრო საქმეშიც კი საქმე გამიჭირვა.

დანარჩენ პირობებზედ სრულიად თანახმა ვარ, მხოლოდ იმედი მაქვს, ერთობ არ გააგრძელებთ დროს, რომ სამართლიანი ცნობის მოყვარეობა იმ პირთა, ვისაც ასე თუ ისე ჩვენ შორის ატეხილი პოლემიკის დასასრული აინტერესებს, დააკმაყოფილოთ.

ალ. თოიძე.

—

P. S. თქვენ, ბატონო კონსტანტინე, ხელ-მეორედ ცილი დამწამეთ, ვითომ მე თქვენთვის პირობა მომეცეს, რომ აგენტობას ვიკისრებ მეთქი და შემდეგ უარი მეთქვას. ხელ-მეორედ გიცხადებთ, რომ ეს ერთი იმ სიცრუეთაგანია, როგორც რამდენიმეში ადრევეც დაგიჭირეთ და ეხლა კეთილ ინებებთ, რომ გვერდი აუხვიოთ. ნება დამრთეთ ჩვენს სამედიატორო საგანში ამაზეც სჯა იქონიონ და მედიატორეთ ჭეროვანი მსჯავრი დასდონ.

ალ. თოიძე.

### II

ბ. დ. კალანდარიშვილს.

თქვენს ოთხს გვერთელა წერილებში გამოგილაშქრიათ ჩემს წინააღმდეგ და არათუ აზრებში მეკამათებით, ცილ სატ-კი მწამებთ, ვითომ მე საქმისთვის მეღალატებინოს. „შუამავალის“ შესახებ მე ჩემი აზრი გამოვსთქვი („ივერია“ № 112 1895 წ.) თქვენ კიდევ თქვენი, და საჭიროა მესამე პირი, რომ მართლა ახსნას ჩვენ შორის ვინ მართალია და ვინ სცდება. ამ მესამე პირად გასახელებ მე ყოველივეს ამხსნელ და განმმარტებელ „დროს“ და დეე დრომ გამოაჩინოს თუ რამდენად ვინ დავკვირვებით ექცეოდა საგანს.

რაიცა ეხება ცილის წამებას, შემცდარი ბრძანდებით, რადგან ამ საქმეში მე სემედიატორო სამართალში მყავდა გამოწვეული თქვენი შუამავლის მმართველი ბ. კ. თავართქილაძე და თუ დაუმტკიცებ, რომ იმან უბრალოთ ცილი დამწამა, თქვენი ბრალდება თავის-თავად დაირღვევა. ეს გარემოება თქვენ კარგად იცოდით და არ მოუცადეთ სამედიატორო სამართალს, რომლის დაგვიანებაში იმოდენა დამნაშავე ვარ, რამდენიც თქვენ, ბ. დ. კალანდარიშვილო, და იქნება ერთობ თქვენზედ ნაკლებიც.

ალ. თოიძე.

*) საკამათო საგანი საკმაოდ გამოირკვა და ამიტომ რედაქცია სპობს ამ საგნის შესახებ საპოლემიკო წერილების ბეჭდვას.

რედ.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ხიმშიაშვილნი. თავად ხიმშიაშვილთა გვარეულობა აღნიშნულია კახეთის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

2 დეკემბერს, 1850 წ. უმაღლესად დამტკიცებულს საქართველოს თავადთა საოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი ხიმშიაშვილნი: 1) გიორგი სოლომონის ძე და ცოლი მისი ერმონია; 2) ქვრივი დიმიტრისა—ირინე და შვილნი მათნი: პრაპორშჩიკი მიხეილ, ალექსანდრე და ბარბარე; 3) ივანე დავითის ძე და შვილნი მისნი: რევაზ, გიორგი, ნინო, ელენე და მარიამ; 4) ერმანოზ დავითის ძე, ცოლი მისი სალომე და შვილნი მისნი: რომანოზ, ზურაბ და ეკატერინე; 5) დავით ზურაბის ძე; 6) გიორგი გონოს ძე და ცოლი მისი ნინო; 7) ბარძიმ იორამის ძე, ცოლი მისი თებრონია და შვილნი მისნი: იორამ, იოსებ და მარიამი და 8) გიორგი უთრუთის ძე, ცოლი მისი ნატალია და შვილნი მათნი: სიმონ, მაგდანი და მართა.

უმართებულესის სენატის განკარგულებით 10 აპრილს 1868 წ. ამგვარს შეუერთდა გიორგი გრიგოლის ძე ხიმშიაშვილი.

## „ივერიის“ დეპეშა.

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

11 აპრილი.

**მოსკოვი.** გუბერნიის საგანგებო საერობო კრებამ დაადგინა ქალთა 20 სკოლის შესანახად, რომლებიც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინების გამო იქმნებიან გახსნილნი, წლიურად 410 მან. აძლიოს(?)

**ბერლინი.** „კრეიც-ცაიტუნგ.“-ის რედაქტორად ნამყოფის ბარონის ჰამერშტეინის საქმე გაირჩა. თითქმის ბრალდებათა უმეტეს ნაწილში დამნაშავედ აღიარა თვისი თავი. სასამართლომ ჰამერშტეინს სამის წლით დაპატიმრება მიუსაჯა, ჯარიმა 1,500 მარკი და 5 წლით პატივი აჰყარა.

**სოფია.** დაგვირგვინების დროს ხელმწიფე იმპერატორისათვის მისართმევად საუცხოვო ალბომი მზადდება ბულგარიის მხატვართა 24 სურათით, რომლებიც ბულგარიის სხვადა-სხვა ადგილებისა და ტიპების სახეებს წარმოადგენენ. მომზადებულია სულ 40 სურათი. სურათებს ბულგარიის მხატვართაგან შემდგარი საბჭო ამოარჩევს.

12 აპრილი.

**პარისი.** პარლამენტში მრავალი საზოგადოებაა. დიპლომატთა ადგილებიც ავსებულია. თითქმის ყველა დეპუტატები მოვიდნენ სხდომაზე. ყველანი აღელვებულნი არიან. ბურჟუა კითხულობს დეკლარაციას, რომლით მოაგონებს პარლამენტს, რომ მადაგასკარის კრედიტი პარლამენტის მიერ შეწყნარებულ იქმნა, ხოლო სენატმა იგი უარჰყო. (უკიდურეს მემარცხენეთა მხარედან ყვირიან: „ძირს სენატი“). ბურჟუა ამბობს, რომ სენატის გარდაწყვეტილება სამინისტროს ართმევს შეძლებას მადაგასკარის ჯარის შენახვისას. კაბინეტი სამსახურს თავს ანებებს, რათა შემდეგმა სამინისტრომ აიღოს ნებართვა კრედიტისა და მით მოიპოვოს საშუალება მადაგასკარის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადო. სამინისტროს პოლიტიკა პარლამენტმა რამდენჯერმე მოიწონა და ამიტომ სენატის აზრს კაბინეტი არ აქცევდა ყურადღებასო. სამინისტრო ასრულებდა თავისს პროგრამას და ქვეყანა გარდასწყვეტს, ვინ იყო მართალიო. ბურჟუა და მინისტრები გადიან დარბაზიდამ. მემარჯვენენი და ცენტრი ტაშსა სცემენ, უკიდერეს მემარცხენენი ყვირიან: „ძირს სენატი“. დიდხანს აღელვება ჰსუფევს. მინისტრები სასახლეში წავიდნენ, რათა ფორს გამოუცხადონ სამსახურიდამ გადადგომა სამინისტროსი.

**პარისი.** პრეზიდენტმა შეიწყნარა სამინისტროს თხოვნა სამსახურიდამ გადადგომის შესახებ; ახალ სამინისტროს შედგენის თადარიგს-კი ხვალ შეუდგება.

**პარისი.** პარლამენტს წარედგინა მრავალი წინადადება კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ; წინადადებანი კომისიას გადაეცა. სხდომა გადიდვა სამშაბათამდის.

## „ივერიის“ ფოსტა

—

**დ. ლანჩხუთში—მ. კვ—ძეს:** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: საალთი, შინაგანი და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:
ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.
ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკ. ნაღოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—103).

ქირავდება
ხუთი ოთახი ავჭალის ქუჩა, № 21.

ცნობილი სუნნელოვანი
წყლები
კელერისა
ყოველგვარის საუკეთესო სუნნელოვანებისა ისყიდება
ყველგან და ყველა
დიდ ვაჭრებთან.
(3—10—1)

[illegible]

დაიბეჭდა ახალი წიგნი
შოთა რუსთაველი
შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ.
განყოფილება პირველი. ა) შოთა რუსთაველი: რუსთაველის წინა დროის მწერლობა.—ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ.—როგორ უყურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის მწერლები.—რუსთველის ლექსთა წყობა.—როგორ ესმისთ შაირობა რუსთაველსა და მის დროის მწერლებს.—რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდბუნებოვანება.—ვეფხის-ტყაოსნის ბეჭდვისა და მეცნიერულად შესწავლის ისტორია (მეფე არჩილი, მეფე ვახტანგ VI.—დავით ჩუბინაშვილი.—ილია ჭავჭავაძე.—ბარონ სუტნერი.—მარი ბროსე.—დიმ. ბაქრაძე.—აკაკი წერეთელი.—მურავიოვი.—ნ. გულაკი.—ალ. ხახანაშვილი.—ვაჟა-ფშაველა.—ნიკო მარრი—ნიკო ნიკოლაძე.—ალ. ნანეიშვილი.—დიმ. ყიფიანი.—ჩვენი მოსაზრება.—გრ. ორბელიანი.—გიორგი წერეთელი.—ვახტ. ორბელიანი.—პლატ. იოსელიანი.—ალ. ცაგარელი.—ნ. დ.—ეგ. იოსელიანი.—ლეისტი, ბარტდინსკი, პოლონსკი, მურიე, სტალინსკი, რენანი, უორდროპი); ბ) რუსთაველის სურათზე. განყოფილება მეორე. ვეფხის ტყაოსნის თხრობა. განყოფილება მესამე. ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედულობით: ა) ღმერთი, ბ) თამარ დედოფალი, გ) რუსთველის ლოცვა, დ) სიმუხთლე სოფლისა, ე) სიკვდილი, ვ) კაცო, ძალსა ნუ იქადი, ზ) ქორწილი, ჱ) რუსთაველის იგავ-არაკნი, თ) შაირობა და მგოსნობა, ი) რუსთველის სიბრძნენი და თქმულობანი (სულ რიცხვით 251).
გამოცემა 183 გვერდია, შემკულია სამის სახითა (შოთასი, თამარ დედოფლისა და ტბეთის ეპისკოპოსის წმ. იოანესი და ორის ნახატით „რუსთაველის სურათზე“ და თამარ დედოფალი ციხის ძირს და ღირს 40 კაპ.

ახალი წიგნები
ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების წიგნთ-საცავში შემდეგი გამოცემანი ზ. ჭიჭინაძისა:
ლუკმა პურის ამბავი, ანუ აღწერა კაცის აგებულებისა, თხზულება მასესი, თარგმანი ნ. ავალიშვილის მიერ. ფასი . . 60 კ.
ბავშვების მოვლა, კომბისა, თარგმანი ვასილი მაჩაბლის მიერ ფასი . . . . . . . . . . . 40 კ.
მაციხვიტია, რომანი ანტ. ფურცელაძისა ფასი . . . . 40 კ.
აბატი პეტრე ხარისჭარაშვილი, ზ.—ჭ—სა ფასი . . 15 კ.
ლექსნი თქმული მ. ბოჭორიძისა, ფასი . . . . . . . 5 კ.
10—9

!!ერიდეთ, არ მოსტყუვდეთ!!
ჰიგიენური
ბორნო-გლიცერინის საპონი
გ. ფ. იურგენსისა
აქრობს ჭორფლს, სიცხისგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი 1895 წ.
ფასი თვითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.
პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში აგმიროვთან, კავკასიაში სააფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრიენაკთან, ძმ. პოპოვებთანა და არისტაკოვთან.
(24—8)